

თავი 1

დიდი მღელვარება

ერთ მზიან ქალაქში, გაცილებით ადრე, ვიდრე იგი მდიდრული მანქანებით მოსეირნე კინოვარსკვლავებით გაივსებოდა, ცხოვრობდა ახალგაზრდა კაცი, სახელად ჯონათან გულიბლი.

მასში რაიმე განსაკუთრებულს არავინ ხედავდა მშობლების გარდა, რომლებიც მას ყველაზე ჭკვიან, გულწრფელ და საოცრად ათლექტურ ადამიანად მიიჩნევდნენ მოწითურო-მოყავისფრო აქოხრილი თმიდან დაწყებული, ვეებერთელა ფეხებამდე.

მისი მშობლები დაუღალავად შრომობდნენ წვრილმანების პატარა მაღაზიაში, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობდა და მეთევზეთა თავშეყრის ადგილად იყო ქცეული. ქალაქის მოსახლეობის უმეტესობა შრომისმოყვარე ხალხი იყო, ზოგი კარგი, ზოგი კი – ცუდი, თუმცა ისინი, უმეტესწილად, არაფრით გამოირჩეოდნენ ერთმანეთისგან.

ჯონათანი მშობლებს მაღაზიაში ეხმარებოდა, სამუშაოსგან თავისუფალ დროს კი თავის გაცვეთილ ნავში ჯდებოდა და თავგადასავლების საძიებლად ზღვაში გადიოდა.

ბევრი ახალგაზრდის მსგავსად, რომელთაც ადრეული ასაკიდანვე არასდროს დაუტოვებიათ მშობლიური ქალაქი, ჯონათანიც მიიჩნევდა, რომ ცხოვრება ერთობ მოსაბეზრებელია, ხოლო გარშემომყოფნი ფანტაზიას მოკლებულნი არიან.

ხანმოკლე მოგზაურობა პატარა სრუტით იწყებოდა, რომლის გავლით ჯონათანი ზღვაში შორს მიემართებოდა. იგი იმედოვნებდა, რომ შეძლებდა უცხო გემის ან ზღვის ურჩხულის დანახვას, შეხვდებოდა მეკობრეებს, რომლებიც დაატყვევებდნენ მას და წაიყვანდნენ ცხრა მთას იქით ან, იქნებ წაწყდომოდა ვეშაპზე სანადირო გემს, რომლის კაპიტანიც შემოსთავაზებდა ნადირობაში მიეღო მონაწილეობა. თუმცა, ყოველი მოგზაურობის ბოლოს მშვიერ-მწყურვალი ჯონათანი ვახშმის გარდა უკვე სხვა ვერაფერზე ფიქრობდა.

სწორედ გაზაფხულის ერთ-ერთ ასეთ დღეს, როდესაც ჰაერი ისეთივე სუფთა და ქათქათა იყო, როგორც მზეზე გამშრალი თეთრეული, ხოლო ზღვა ისეთივე მიმზიდველი. ჯონათანს ერთი სული ჰქონდა, მალე ჩაელაგებინა საუზმე და სათევზაო ხელსაწყოები თავის მომცრო ნავში და ზღვაში გასულიყო.

როგორც კი კლდეზე აღმართულ შუქურას გასცდა, ჯონათანმა რიფების თავზე მქროლავი არწივის თავისუფლება იგრძნო. ბრიზისკენ ზურგით მჯდარმა ვერ შეამჩნია შავი საავდრო ღრუბლები, რომლებიც ჰორიზონტზე იყრიდა თავს.

არცთუ დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ჯონათანმა ღია ზღვაში გასვლა გაბედა და თითოეულ ჯერზე უფრო თავდაჯერებული ხდებოდა. ამასობაში ქარი მატულობდა, თუმცა ჯონათანი მას დიდ ყურადღებას არ აქცევდა სანამ ძალიან არ დაგვიანდა რამის გამოსწორება. სულ მალე იგი შეეცადა დაემორჩილებინა გემსართავი, ზღვა კი საშინელი ძალით ბობოქრობდა მის ირგვლივ. ტალღები ბურთივით ათამაშებდა მის პატარა ნავს და აქეთ-იქით აგდებდა. ჯონათანის ნებისმიერი მცდელობა, ქარის მიუხედავად დაემორჩილებინა ნავი, უშედეგო იყო. საბოლოოდ, იგი დაეცა ნავის ფსკერზე და ორივე ხელით ჩაებლაუჭა მის გვერდებს იმ იმედით, რომ ნავი არ გადაბრუნდებოდა. დღე და ღამე აირია საშინელ ორომტრიალში.

ბოლოს მღელვარება ჩაცხრა. ნავი მარჯვნივ იხრებოდა, მისი ანძა გატეხილი იყო, ხოლო აფრები კი – დაგლეჯილი. ზღვა დაწყნარდა, მაგრამ სქელი ბურუსი საბანივით გადაეფარა მას – არც ცა მოჩანდა და არც მიწა. ზღვაში რამდენიმე დღის ხეტიალის შემდეგ ჯონათანს წყლის მარაგი ამოეწურა. ერთადერთი, რითიც პირის გასველება შეეძლო, აფრების ნაგლეჯებზე დარჩენილი წყლის ანაორთქლი იყო.

როდესაც ბურუსი მიმოიფანტა, ჯონათანმა სიშორეში კუნძულის სილუეტი შენიშნა. მიახლოებისთანავე მის წინაშე ქვიშიანი ნაპირიდან აღმართული უცნობი მთები და მცენარეებით უხვად მოფენილი ციცაბო კლდეები გამოიკვეთა.

ტალღებმა ნავი წყალმარჩხ რიფთან გამოიტანა. ჯონათანმა ნავი მიატოვა და ნაპირისაკენ გაცურა. მან მალევე იპოვა და ხარბად შეჭამა რამდენიმე ვარდისფერი გუავა, მწიფე ბანანი და სხვა საუცხოო ხილი, რომელიც უხვად ხარობდა ქვიშიანი პლაჟის ვიწრო ზოლის გაღმა, ნოტიო ჯუნგლებში. მას შემდეგ, რაც დაისვენა და ძაღები მოიკრიფა, ისევ მარტოობის გრძნობა დაეუფლა. თუმცა, თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ გადარჩა და ცოტა აღელვებულად იყო იმ თავგადასავლების გამო, რაც მას გადახდა. იგი დაუყოვნებლივ გაუდგა გზას თეთრქვიშიანი ნაპირის გასწვრივ, რათა რაც შეიძლება მეტი გაეგო ამ უცნაური კუნძულის შესახებ.